№ 103 მაისი 14, ოთხშაბათი 1886 მაისი 14, ოთხშაბათი № 103

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვ:ს საგაზეთოს, ცენტრალურს ღ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის განცხადებაში სოფლების მამულების შესახებ დაბეჭდილია, რომ ვაჭრობა

11 ივლისს იქმნებაო,

დაბეჭდილი უნდა იყოს:

11 ივნისს.

ტფილისი, 13 მაისს

ჩვენ გუშინდელს ნომერში ვსთქვით, რომ თითქმის არც ერთს წუნის მდებელს მწერალსა და მოლექსეს არ გამოუთქვამს, რა მიზეზითა სწუნობს ჩვენს ბანკებსა. მარტო ეს კი ვიცით: ყველანი იძახიან ბანკები ჩვენა გვღუპავსო და ამ კილოზედ ათას ნაირად ჰგალობენ პროზითა და ლექსითა. რა საგანი უნდა აძლევდეს ამის მთქმელს საბუთსა?

საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმაა ბანკის შესახებ უჯერო და შეუწყნარებელი და ამ მითქმა-მოთქმაში უნდა ვეძიოთ იგი საგანი. ამ შემთხვევაში ჩვენნი მწერალნი და მოლექსენი ამ მითქმა-მოთქმის ხმას აჰყვნენ უსათუოდ, თორემ თავისას გამოაცხადებდნენ რასმეს. საზოგადოებაში ზოგი იძახის, რომ ბანკებმა ფულის სესხად შოვნის სახსარი გაგვიადვილაო და ამით მაცდურების კარი გაგვიღოვო. ბანკები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვალებს არ ავიღებდითო და მაშასადამე ჩვენი მამულები ყოველის განსაცდელისაგან თავ-დახსნილი იქნებოდაო და ჩვენც უვალონიო. თუ ამისი მთქმელნი მართალის გულითა სდებენ ამით წუნს ჩვენს ბანკებს, ამისი წამალი ადვილია: ბანკის კრებამ დაადგინოს, რომ თავად-აზნაურსა და ერთობ ქართველსა, რომელსაც ადვილად საშოვარი სესხი ასე აცდუნებს, აეკრძალოს ბანკიდამ ფულის სესხად მიცემა, თუნდა რომ ძალიანაც უჭირდეს. ამითი იგი სამაცდურო კარი, რომლის მიზეზითაც ბანკებს წუნსა სდებენ, სამუდამოდ დახშულ იქმნება და თავად-აზნაურობას ცალკე და ქართველობას საერთოდ ნება ექმნება მაშინ სთქვას, რომ დახსნილ ვარ ბოროტისა და მაცდურებისაგანაო. ხოლო არა გვგონია ბანკის კრებათა კეთილგონიერებამ ამ სასაცილომდე მიაღწიოს და გაუფთხილებელი, გაუსინჯავი და წინ დაუხედავი კაცი ბორძიკს და წაქცევას იმით გადაარჩინოს, რომ მის გამო ნება არ მისცეს არავის სიარულისა.

ზოგი კიდევ იმიტომ ჰრისხავს ბანკებს, რომ მართალია ფული გვიშოვის სასესხებლად, ბანკის ვალს ვიღებთ, მამულებს ვუგირავებთ და როცა პირობას ვალისას და სესხისას ჩვენის დაუდევნელობით ვერ ვუსრულებთ ბანკსა, ბანკი მამულებს გვიყიდის და ცარიელზედ გვსვამსო. მაშ რა უნდა ჰქმნას ბანკმა? ნუ გაგვიყიდის მამულებსაო, თვითონ ჩაიბაროს ჩვენი მამულიო, უპატრონოსო, რაც შემოვა, იმითი ვალი იშოროსო და როცა მოიშორებს, მამული ჩვენვე დაგვიბრუნოსო. ამ უთავ-ბოლოო, მაგრამ სანატრელს აზრს ბევრი მომხრე ჰყავს ჩვენს საზოგადოებაში და ამ მომხრეებზედ სხვა არა გვეთქმის-რა გარდა იმისა, რომ «ნეტარ არიან მორწმუნენი». ზემოხსენებულ აზრის პატრონებს ან სულ არ ესმისთ, რა არის ნდობა, „კრედიტი“ და რით გამოიწვევა იგი ნდობა, ან განგებ თვალ-დახუჭულნი არიან.

ბანკი ჯერ გაჭირებულის კაცის მოციქულია ფულის პატრონის წინაშე და მერმე მისი თავმდებიცა. მისი კლიენტი ერთის მხრით სესხის ამღებია, რომელიც ფულიანს კაცს ეძებს, რომ ფული ისესხოს, მეორეს მხრით—ფულის პატრონი, რომელიც სანდო კაცს და სანდო პირობას ეძებს, რომ ფული ასესხოს. ამათ შუა მოქმედობს ბანკი, ვითარცა მოციქული და თავდები. ამ მოქმედებისათვის ბანკის აგებულებაში იმისთანა რამ უნდა იყოს საძირკვლად დადებული, რომ ფულის პატრონი მიენდოს და ბანკის შემწეობით და თავდებობით ფული სესხის ამღებს გადასცეს. მოკლე ვადიან ბანკებს ამისათვის სხვა საძირკველი აქვთ, საადგილ-მამულო ბანკსა—სხვა. ერთი ქვა-კუთხედი საადგილ-მამულო საძირკვლისა იგია, რომ სესხის ამღები ვალის მოსაშორებლად ვადაზედ შემოიტანს ბანკში რაც შემოსატანია და ბანკიც გადასცემს ფულის პატრონსა და მეორე იგია, რომ ფულის პატრონი დარწმუნებულია წინადვე, თუ ვადაზედ სესხის ამღებმა არ შემოიტანა დაწინდული, დაგირავებული მამული გაიყიდება და გასყიდულის ფასით აუდგება ნასესხები. თუ ამითაც ვერ გაისწორა ანგარიში, იმედი აქვს, რომ მთელი ქონება ბანკისა, როგორც თავ-მდებისა, მისი პასუხის მგებელია. ამ სამს უსათუო პირობაში ერთი რომელიმე რომ გააუქმოთ, ვერც ბანკი და ვერც თვითონ თქვენ გროშსაც ვერ იშოვით სასესხებლად. ტფილისისა და ქუთაისის ბანკებმა ათს მილლიონზედ მეტი ფული იშოვეს გასასესხებლად ამ სამის უსათუო პირობითა. ეს სამი აუცილებელი პირობა ამ ბანკებისაგან კი არ არის მოგონილი, არამედ იგი პირობანი წარმომდგარნი არიან თვით კრედიტის ბუნებისაგან, რომელიც უიმათოდ ყურსაც არ შეიბერტყს ხოლმე და ადგილიდამ არ იძვრის.

თუნდ ეგეც არ იყოს, ერთი ვიკითხოთ: რა მნიშვნელობა აქვს მამულების დაგირავებას, თუ პირობის გატეხას არ უნდა მოსდევდეს თვითონ მამულის გაყიდვა? მაშინ გირავნობა რა შუაშია და რა თამასუქია? აბა ერთი მიდით გარეშე კაცთან და უბძანეთ: ფული მასესხე, მამულს დაგიგირავებ იმ პირობით კი, რომ თუ ნასესხები არ დაგიბრუნე, მამული არ გამიყიდოვო. ხომ სასაცილოდ არ ეყოფით ფულის პატრონსა!... ეს უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც გულწრფელადა სწამთ, რომ მამულების გაუსყიდველობა შესაძლებელია, როცა კაცი მამულის თავდებობით იღებს ვალსა. გაგონილა განა: მამულზედ მანდევი ფულიო და მამულს კი ნუ აზღვევინებო, თუ მე გაგიმტყუნდი და პირობა ვერ აგისრულეო. აქ, სწორედ მოგახსენოთ, არავითარი ლოღიკა არ არის. იქნება გვითხრან, რომ რაკი ბანკი ჩაიბარებს მამულს, თვითონ მამული თავისის შემოსავლით გადიხდის ვალსაო. ამასაც მეტად მოკლე ფეხები აქვს. თუ თვითონ პატრონმა ბანკიდამაც ფული აიღო მამულზედ და მამულს ისე ვერ მოუარა, რომ ვალს გასძღოლოდა, ბანკმა საიდამ და როგორ უნდა მოუაროს. შორს რად მივდივართ, თვითონ სახელმწიფო, რომელსაც თავისი საკუთარი შეუწყვეტელი წყარო აქვს სიმდიდრისა, სცდილობდა ამ ბოლოს ხანებში ამ მხრით როგორმე მოეშველებოდა რუსეთის თავად-აზნაურობას და ვერას გზით ვერა გახდა-რა, არ-შესაძლებელად იცნო,—ჩვენი ტფილისის და ქუთაისის ბანკები, რომელნიც კრედიტით მოწვეულის სხვისის ფულით მოქმედობენ, როგორ შეიძლებენ! და შეუძლებელს შესაძლებელად როგორ გარდაჰქმნიან!...

აკი ვამბობთ, ეს მამულების გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი მართა-

ფელეტონი

სატყეო საქმე ჩვენში

(დასასრული *)

სად და რაშია უმთავრესი მიზეზი იმ მუყაითის ანუ სხვა უმწვერვალესის ბიუროკრატებურის სატყეო მეურნეობისა, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ. საზოგადო მიზეზი **საფინანსო პოლიტიკაში** უნდა მოიძებნოს. აწინდელის ევროპის ზოგიერთა სახელმწიფოებმა ამ პოლიტიკას ისე გადააჭარბეს, რომ გერმანიაში, მაგალითად, ბისმარკი ჰთხოულობს—არაყიც კი სახელმწიფომ უნდა გაყიდოსო... რასაკვირველია თვითოეულს სახელმწიფოს სრული უფლება აქვს თავისის ქონების გამგეობა ისე მოაწყოს, როგორც მისი საკუთარი სარგებლობა მოითხოვს, მაგრამ ხალხის საჭიროებაც არ უნდა დაივიწყოს. მეურნეობა მაშინ არის კარგად განწყობილი, როცა სახელმწიფოს და ხალხის სარგებლობა, საჭიროება ერთი-ერთმანეთთან შეფარდებული და შეწონილია, როცა მათ შორის ეკონომიური ჰარმონია არსებობს. სადაც ასე არ არის, სადაც ეკონომიური ჰარმონია უარ-ყოფილია, იქ ერთი მხარე მეორესაგან დაჩაგრულია და სახელმწიფო მეურნეობაც მაცდურს გზა-კვალს ადგია.. ამ უმწვერვალესობას საზოგადოდ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობა თუმცა მოშორებულია, მაგრამ კერძოდ კავკასიის სატყეო მეურნეობაზედ, ვგონებთ ეს არ ითქმის. საზოგადო სატყეო კანონი (т. VIII, ст. 42) ამბობს, რომ, რომელი მეტყევე ერთგულობას გამოიჩენს და სალბაშს, თუ სხვა გვარს სატყეო შემოსავალს დიდს ამოაჩენს და ხაზინას შეჰმატებსო, ფულით საჩუქარი მიეცემაო, 10% სატყეო თანხიდამაო, ეს საჩუქარი მეტის შემოსავლიდამ უნდა მიეცეს ბეჯითს მოხელესაო... კანონის დამატებაში (приложеніе къ ст. 43, 1—26) ვრცლად არის განმარტებული, რა ნაირი განსაკუთრებული შრომა უნდა დასდოს მოხელემ სატყეო საქმეს საჩუქრის მისაღებად. თვით საჩუქარი სამ-გვარია და პირველი სამოც თუმანს არ აღემატება. კანონის აზრი ამ შემთხვევაში ცხადია—მას ჰსურს სახასო შემოსავალი გაადიდოს, მაგრამ ეს გადიდება ხომ ისევ ხალხს ედება ტვირთად. როგორც მოგეხსენებათ, სასმელების შესახებაც მეურნეობა ამ გზას ადგია (Улож. о Нак. примѣчаніе къ ст. 706). მეურნეობის ამ გვარი მიმართულებაა იმის მიზეზი, რომ ჩვენი სატყეო ნიხრი (ტაქსა) მძიმეა აქაურ მკვიდრთათვის, შეუფერებელია. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ ნება-დაურთველად ტყიდამ შეშისა თუ საჭირო მასალის გამოტანისათვის, კანონის სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დარღვევისათვის ნიხრი ჯარიმას ერთი ორად ართმევს დამნაშავეს (Уст. о Нак., ст. 155, 156, 158 და სხ.). საყურადღებო და დასაფიქრებელი აქ უფრო ისაა, რომ საზოგადო კანონი (408 ст.), როგორც წინადაც შევნიშნეთ, ამბობს, ჯერ ადგილობრივი საჭიროება უნდა შეისწავლოთო და მერე მისდა გვარად მეურნეობა მოაწყოთო და აწინდელი მეურნეობა კი კანონს წინ უსწრობს და ისეთს ნიხრსა სდებს, რომელიც ძალიან ნაკლებად აკმაყოფილებს ადგილობრივს საჭიროებას. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ჟამად ხელში არა გვაქვს სტატისტიკური ცნობები, მაგრამ მაინც დაბეჯითებით ვიტყვით, რომ როგორც ნიხრმა, ისე საზოგადოდ სატყეო მეურნეობამ ხალხის გული ვერ მოიგო,—სატყეო დანაშაულობა თან-და-თან უფრო ვრცელდება, ტყეები დღითი-დღე დაუზოგველად იჩეხებიან და აქ, სხვათა მიზეზთა გარდა, სატყეო მეურნეობასაც თავისი წილი უდევს. ამ გარემოებამ, რავდენისამე წლის წინად, დიდი მითქმა-მოთქმა და საყვედური დაჰბადა ადგილობრივს მწერლობაში: მეურნეობის ბრალია, რომ ტყეები დაუზოგველად იჩეხებაო... სატყეო გამგეობასაც გამოესარჩლენ, მაგრამ, ვგონებთ, ამ გამოსარჩლებამ თუმცა ზოგიერთი საყვედური გააქარწყლა, მაგრამ ბევრი ბრალი ისევ ბრალად დარჩა („Юридическое Обозрѣніе“, №№ 87 и 89. ღირს, რომ მცოდნე ქართველი დააკვირდეს ამ ფრიად საინტერესო კამათობას). მიზეზი აქ ცხადია: სატყეო მეურნეობას აზრად როდი უნდა ჰქონდეს მარტო თავისი სარგებლობა, არა,—ხალხის საჭიროებასაც თავისი ადგილი უნდა ეჭიროს სახელმწიფო ეკონომიაში, მხოლოდ მაშინ ეშველება საქმეს. მაგრამ აწინდელი წაქეზება მოხელესი ფულის ჯილდოთი და ნიხრი, სადაც ყველაფერი ისეა ანუსხული, გამოანგარიშებული, თითქო სატყეო მეურნეობა და კერძო საოჯახო შესავალ-გასავალი ერთი და იგივე იყოს, ხალხის კეთილ-მდგომარეობას ვერ აღორძინებს და ეს კიდევ საზარალო იქნება თვით სახელმწიფოსათვის...

დიდი უსამართლობა იქნება, თუ მთლად ბრალს მარტო სატყეო მეურნეობას მოვახვევთ თავზედ. დაუზოგველად ტყეების გაჩეხაში სხვა მიზეზებსაც წილი უდევთ და რომ ეს ასეა, იმითაც მტკიცდება, რომ კერძო პირთა ტყეები არა ნაკლებ იჩეხებიან, ილუპებიან. აქ სახასო მეურნეობა არაფერ შუაშია და თუ სატყეო კანონზედ ითქმის რაიმე, მარტო ის, რომ იგი კანონი (т. VIII, ст. 563) ტყის პატრონს სრულს ნებას აძლევს—როგორც გნებავდეს, ტყე ისე მოიხმარეო, თუნდა სულ გასჩეხე და გაამინდვრეო. სჩეხენ კიდეც: შორს რომ არ წავიდეთ, გორის მაზრაში, სახელდობრ, საციციანოში და სამაჩაბლოში ჩვენმა ამიერკავკასიის ოსებმა ტყე ძირს დასცეს თვალ-გადაუწვდენელს სივრცეზედ და იქ, სადაც წინად დაბურული ტყე იყო, ეხლა ჯეჯილით ამწვანებული მინდვრები მოსჩანან... იქნება ზოგიერთა მამულის-შვილს სიხარულით გულიც აუტოკდეს, როცა ამწვანებულს მინდვრებს დასცქერის, მაგრამ სასიხარულო რომ აქ არაფერია, ამას თუ გული არა ჰგრძნობს, გონება მაინც ჰხედავს: ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ კერძო პირთა ტყეებსაც საზოგადო მნიშვნელობა

---

*) იხ. «ივერია» 1886 წ., № 102.

ლია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება. კიდევ ვიტყვით: ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მაგ ნეტარებას გამოკლებულნი ვართ.

17

ახალი ამბავი

⁂ კვირა დღეს წვიმის თქეშმა და ნიაღვარმა კინაღამ წალეკა სულ ტფილისის ქუჩები: მიხაილოვის ქუჩაზე ისეთი მორევები იდგა ზოგან, რომ ცხენის რკინის-გზის ვაგონები საფეხურამდე წყალში დადიოდნენ. ავჭალის ქუჩაზე მთელი მდინარე მიქანაობდა და ერთის ნაპირიდგან მეორეზე გადასვლა შეუძლებელი იყო. მთა-წმინდის ქუჩები მთიდგან ჩამოტანილის ლორღით აივსო.

ტფილისში ასეთი წვიმებია და მოსავალს აფუჭებს. თიანეთის მაზრაშიაც უხვად მოდის თურმე წვიმები და ლამის მოსავალს ხელი შეუშალოს. ქართლში-კი წვიმა უჭირს მოსავალსაო. თუ ამ დღეებში ტფილისში მოსული წვიმები ქართლსაც ერგო, გორის მაზრა კარგს მოსავალს მოესწრობაო.

⁂ „წერა-კითხვის საზოგადოებას" გაუთავებია ბეჭდვა პატარა სურათიანის საყმაწვილო წიგნისა, სახელად „რობინზონ კრუზე" და მალე გასასყიდად დაურიგდება მაღაზიებს. პატარა ყმაწვილებისთვის, რომელნიც საზაფხულოდ სოფლებს მოეფინებიან, ფრიად საამო და სასარგებლო საკითხავი იქნება ეს წიგნი. ვურჩევთ ყველა მშობელსა და ყმაწვილის პატრონს შეიძინოს ეს წიგნი, თუ უნდა თავის ოჯახის პატარა წევრთათვის სიხარული, სიამოვნება და სარგებლობა. ფასი ამ წიგნისა სულ ექვსი შაური იქნებაო.

⁂ ახალის საკადემიო წლისათვის ახლად დაიბეჭდება პირველი-საკითხავი წიგნი «დედა-ენა». დედა-ენას ჩაერთვის ზოგიერთი ახალი სურათები. ამას გარდა წერისათვის ბადეებია შიგ ჩართული და ბადეებში დაწერილი ასოებია ჩასხმული. ეს ცვლილება სასარგებლო ცვლილებად უნდა ჩაითვალოს. აქამდე, ვიდრე ეს ბადე არ იყო ჩართული, ყმაწვილი ბეჭდურს ჰკითხულობდა და ბეჭდურსავე სწერდა. ეხლა-კი ბეჭდურს რომ წაიკითხავს, დასაწერის ასოების ნიმუში თვალ-წინ ექმნება ბადეში. «დედა-ენა» ამ ხანობით 20,000 ცალი უნდა დაიბეჭდოს მაისის გასვლამდეო.

⁂ იბეჭდება და მალე გამოვა სამღვთო ისტორია, შედგენილი მღვდლის დიმ. ჯანაშვილის-მიერ.

⁂ რაჭიდგან გვწერენ: „ამ ზამთარში აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა და აქნობამდე ამას ყურადღება არავინ მიაქციაო. სოფ. ზვირეთის მცხოვრებელმა რაღაც ეჭვი შეიტანა თავის ცოლზედ და საშინლადა სცემა. ცემის შემდეგ პირის სახეზედ მური წაუსვა, შესვა ცხენზე პირ-უკუღმა და ზედ დააკრაო. ამ გვარად შერცხვენილი და გაუპატიურებული ცოლი სოფელზე ჩამოატარა. სოფელი ისე აღელდა, რომ უნდოდა ხელიდგან წაერთმია საცოდავი და ჩაქოლილი დედა-კაცი უგულო ქმარისათვის, მაგრამ ბარბაროსმა თავისი გაიტანა და გული მაშინ იჯერა, როცა ასე სასტიკად დასაჯა ადამიანიო.

⁂ სოფ. ჩხერიდამ, შორაპნის მაზრიდამა გვწერენ: ეს სამი დღეა, 9 მაისიდამ დაწყობილი, რაც აქ ძრიელ ცუდი ამინდებია, გაუწყვეტლად სწვიმს და სეტყვასაც ურევს ხოლმე. ამ ამინდების და ჰავის შეხედვით დიდ სეტყვას უნდა ველოდეთ წელს, და ეს გარემოება ერთ უმთავრესს შემაწუხებელ საგნად უნდა ითვლებოდეს ჩვენის ხალხისათვის. ღმერთმან გვაშოროს ეს უბედურება.

ჩვენს სოფელში სხვა უბედურებასთან ძრიელ გახშირდა ქურდობა და თითქმის ღამე არ გაივლის ისე, რომ სახლი არ გატეხონ და არაფერი არ გაიტანონ. მის დღეში ამისთანა ქურდობა აქ კი არა, თითქმის ბანძაშიაც არა ყოფილაო, - ამბობენ ჩვენი ძველი კაცები. ამ გახშირებულის ქურდობის მიზეზი ხევის-თავების დაუდევნელობა არის. რომ საჭირო იყოს ამის მაგალითებსაც მოვიყვანდი. საჭირო არის ამ მავნებელ გარემოებას, როგორც ხევის-თავებმა, ისე სოფელმაც მიაქციოს ყურადღება და რაც შეიძლება სდევნოს ყოველ ქურდობაში და სხვა რამ ავაზაკობაში შენიშნულს კაცს და იქნება მით შემცირდეს ამ ჩვენ სოფელში თითქმის უჩვეულო ავ-კაცობა.

⁂ გაზეთ «მწყემსში» დაბეჭდილია შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი:

„აპრილის 17-ს რიცხვსა მე დავესწარი დღეობას გორის მაზრის სოფელ გერში. წირვის შემდეგ გამოვედი გალავანის გარეთ და შემდეგი სურათი დავინახე: ხალხი შემოეხვია ორ ოსს, რომელთაც ხელში ეჭირათ ნახევრად გახდილი ქალი, რომელსაც საშინლად სცემდნენ პირის-სახეში და ყვირილით ჰკითხავდნენ, «გვითხარი, რა ჰქვიან შენ ეშმაკებსაო?» ეს ქალი, ერთი პატარა ვაჟის დედა, შეშლილი ყოფილა; იგი გრძნობა-მიხდილი ველარაფერ პასუხს იძლეოდა, მხოლოდ დაჟღენთილი მისი სახე ითხოვდა შებრალებას და შეწყნობას. აქ მყოფმა პატივცემულმა ბლაღოჩინმა მ. ზაქ. გრძელიევმა მიიხმო მტანჯველნი და ჰკითხა, თუ რათ აწვალებენ ქალს. მათ უპასუხეს: «ამას, შენი ჭირიმე, ეშმაკები ჰყავს, ძალად იმათი სახელები უნდა ვათქმევინოთ, ქალალდზე დავსწეროთ, დავსწვათ და მაშინ ქალი მორჩებაო». მ. ზაქარიამ აუხსნა მათ, რომ ისინი ქალს ტყუილად სტანჯავენ და, თუ მისთვის შეწეობის მიცემა სურსთ, ექიმს ანახვონ. ხალხს არაფრად იმა მ. გრძელიევის სიტყვა და უპასუხა: «ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ შეშლილი ამ გვარად მორჩენილაო, ჩვენ უფრო კარგად ვიცითო. ვერას გახდნენ თავის დარიგებით მღ. ქ—ი და დიაკვანი ლომაურიც. ქალი თითქმის სულ მთლად გაატიტვლეს, სცემდნენ, უჩხვლეტდნენ, ემუქრებოდნენ ხანჯლებით, თოკი მოაბეს და კლდიდამ უნდა გარდაეშვათ. საწყალი ქალის ნახვა კაცში სიბრალულს ჰბადავდა, მაგრამ მისი ხვეწნა ამაო იყო გულ-გაქვავებულ მთიელთათვის. ბოლოს მოთმინებიდამ გამოყვანილმა მღ. ალექსანდრე ქოქოევმა გარდაწყვეტილად უბრძანა მტანჯველთა კლდეს მოშორებიყვნენ და ტანჯული ქალი კი ჩააბარა თავის ქმარს. რომ არ ყოფილიყო ამ ჟამად მ. ქოქოევი და ქალი კლდიდამ შაეშვათ, იგი უეჭველია სულს განუტევებდა. ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, მაგრამ მუქარა და ყვედრება ისმოდა მღვდლებზე..."

⁂ გაზ. «ახალ მიმოხილვაში» პატარა შენიშვნაა დაბეჭდილი აბრეშუმის ჭიის მომვლელსა და მწარმოებელს ლერისიეზე. ლერისიეს აბრეშუმის კეთების ოთახი მთელი მუზეუმია თურმე: ყოველ-გვარი იარაღი, ყოველ გვარი პარკი აბრეშუმისა, თესლი აბრეშუმის ჭიისა სულ სხვა-და სხვა ნაირი, წიგნები, ამ საქმის შესახები—სულ ყველა ამას ჰნახავთ თურმე ლერისიეს ოთახში. ლერისიეს ტყუილად ჰკიცხავს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაო, ამბობს შენიშვნის დამწერი, 19 წელიწადი ლერისიე კავკასიაშია და სულ ამ საქმეს ადგიაო და დიდი გამოცდილება აქვსო. ეხლა ლერისიეს უდგია, რომ ადრე გამოიყვანოს აბრეშუმის ჭია თესლიდამ და ზუგდიდიდამ მოსდის თურმე ამისათვის ნორჩი ყლორტები და ფურცელი თუთისა კლიონკის ტომრებით. 1873 წლიდამ ლერისიემ დაურიგა გლეხობას თითქმის მუქთად 300,000 მისხალი თესლი აბრეშუმის ჭიისაო, 700 მკვიდრს კავკასიისას, რომელნიც კი მისდევენ აბრეშუმის ჭიის მოვლას, თერმომეტრები დაურიგაო. ლერისიემავე დაბეჭდინა წიგნი თათრულს ენაზე აბრეშუმის მოვლის თაობაზე რიცხვით 3500 ცალი და დაურიგა ხალხსაო.

⁂ თათრები რომ სხვა-და-სხვა კანფეტებს ჰყიდიან ქუჩებში, თურმე ისეთის საღებავითა ყოფილან შეღებილნი, რომელნიც მავნებელია კაცისათვის. საქალაქო გამგეობას გაუსინჯვინებია ეს საღებავი სწავლულისათვის და აღმოჩენილა, რომ საღებავი საწამლავი ყოფილა, ესრედ-წოდებულ ანილინის საღებავი (გაზ. „კავკაზი".)

⁂ კუკიის მეფურნეებს უარი უთქვამთ, მესამე ხარისხის პურს აღარ გამოვაცხობთ, რადგან ფასი $2^{1}/_{2}$ კაპ. ძალიან ცოტა არის დანიშნული და ვზარალობთო. ამაზე განაჩენი შეუდგენია ვაჭრობის ზედამხედველს, წარუდგენია საქალაქო გამგეობისათვის, და როგორც გაზ. „კავკაზი" ამბობს, გამგეობას განზრახვა აქვს, ჯარიმა გადაახდევინოს ამ მეფურნეებსაო და ძალა დაატანოს მესამე ხარისხის პური უთუოდ აცხონ და დანიშნულ ფასადა ჰყიდონო.

⁂ აჯი-ქაბულიდამ სწერენ ამავე გაზეთს, რომ აქ ბერძნებმა ახირებული ქარხანა გამართეს ყველისაო. ჰყიდულობენ ყველს 1 მან. 50 კაპ., ან 2 მან. სჭრიან ნაჭერ-ნაჭერ, მერე ჰყრიან დიდს ქვაბში, ადუღებენ და როცა ფაფად გადაიქცევა, სხვა-და-სხვა სახის ყველს აკეთებენ და გზავნიან სამზღვარ გარედ, ოსმალეთსა და საბერძნეთში. იქ ფუთს ჰყიდიან ექვსა და რვა მანეთადაო. ამ წელს 8000 ფუთამდე ამ გვარის ყველის გაგზავნას აპირობენო.

⁂ სურამის ქედის რკინის-გზის ხელ-ახლად გადაკეთების სამუშაოთა უფროსად დანიშნეს გზათა ინჟინერი რიდზევსკიო, ამბობს ესევე გაზეთი, და ტეხნიკურ ნაწილის გამგედ ინჟინერი პოლიტკოვსკიო, რომელიც დიდ-ხანს იყო ფოთი-ტფილისის რკინის გზის შემკეთებელიო.

აქეთ მთელის ხალხისათვის, მათ ყოფობაზეა დამყარებული ადგილ-მამულის ნაყოფიერება, წყლისა და ერთობ ნამის სიუხვე, შეზავებული ჰაერი და სხ. ამიტომაც სატყეო წესდების 563 მუხლი უნდა აილაგმოს მაინცა, თუ მისი გაუქმება ყოვლად მოუხერხებელია—მთავრობა სრულიად ვერ უარ-ჰყოფს კერძო საკუთრებას, რომელიც დედა-ბოძია ყოველის კანონ-მდებლობისა, ეს უთადარიგოდ ტყეების დალუპვა მით უფრო საკვირველია და გაუმართლებელი, რომ სატყეო წეს-დებულება კერძო პირებსაც სრულს ნებას ანიჭებს სატყეო გამგეობა ისე მოაწყონ, როგორც მეურნეობა თხოულობს და ამის შესახებ კანონი თითქმის ისეთსავე უფლებას ჰპირდება კერძო მესაკუთრისაგან დაყენებულს ყარაულს, როგორიც თვით სახაზო ყარაულებს აქვთ. მაგალითებრ, ყოველივე დანაშაულობა კერძო მესაკუთრისაგან დაყენებულ ყარაულის წინაალმდეგ, ისე ისჯება კანონით, როგორც სახელმწიფოსაგან დაყენებულის ყარაულის წინააღმდეგი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მაინც მებატონეების ტყეები ღვთის ანაბარად არიან—იშვიათად შეხვდებით რაიმე სატყეო მეურნეობას და ხეირიანად განწყობილს მცველობას. მართალია, თითო-ოროლა ადგილას (მაგ., საამირეჯიბოში, სადაც ტყეს ყურადღება იმიტომ მიაქციეს, რომ რკინის-გზის საზოგადოებას ამ ტყიდგან გააქვს შეშა და მასალა ლიანდაგისათვის) შემოიღეს მეურნეობა, ყარაულებიც დააყენეს, მაგრამ მდაბიო ხალხი ხმა-მაღლა უჩივის ერთსაც და მეორესაც—ხომ მოგეხსენებათ: ხმა ერისა ხმა ღვთისაო... მებატონეების ტყეებიც იღუპებიან და ზემოდ რომ შევნიშნეთ აქ სხვა მიზეზებსაც წილი უდევთო, სწორედ ეხლა უნდა ვუჩვენოთ მკითხველს ეს მიზეზები.

როცა ჩვენი დიდებული სჯულმდებელი ვახტანგი ბძანებდა—ხალხს რომ ტყის ხმარება აუკრძალოთ, «ქვეყანას შენობა» მოაკლდებაო, ერთი რამე ავიწყდებოდა: «ქვეყნის შენობა», ხალხის გამრავლება ტყის პირველი მტერია, თუ ამ გამრავლებას თან არ მოსდევს სატყეო მეცნიერების და მეურნეობის განვითარება, აღორძინება და მოძლერება. ამ შემთხვევაში, როგორც ბევრს სხვაშიაც, არა-შორ-მჭვრეტელმა იდეალისტმა მარტო ერთს მხარეს მიაქცია ყურადღება და საგნის სხვა მხარე-კი უყურადღებოდ დასტოვა: საჭირო იყო ზოგიერთა ზომათა დადგინება, დაუზოგველად ტყის ხმარების ალაგმება. მაგრამ ერისათვის თავ-დადებული მამულის შვილი ასე როდი მოიქცა—მის კანონთა კრებაში ერთს მუხლსაც ვერ იპოვით ისეთსა, რომელიც რამეს ამბობდეს ტყის მოხმარების ზომიერებაზედ. და თუ ძველი კანონი უმწვერვალესობას ვერ ასცდა, აწინდელი ჩვენი სატყეო მეურნეობა ხომ მეორე უმწვერვალესობას მიეცა,—აწინდელი ტყის ნიხრი ამის უტყუარი საბუთია. არც ერთი და არც მეორე უმწვერვალესობა საქმეს ვერ უშველის და ეს რომ ასეა, ამას თვით საქმე ამტკიცებს: რაც დრო და ჟამი გადის, ტყეები თანდა-თან კლებულობს. რუსეთში, მაგალითად, ერობის ზოგიერთა მოღვაწეებმა ორ-გოჯიანი ტირიფის ხე, რომელიც შაურად ღირს, 24 მანათი დააფასეს, ასი ფიჩხი—200 მან., ე. ი. თითო ფიჩხი ორ მანათად და ყოველივე ეს იმიტომ, რომ მძიმე ნიხრი უშველის ტყესაო, მაგრამ ტყის გაჩეხა უფრო გაძლიერდა («Лѣсной вопросъ въ Россіи», ст. 51—52). ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს უიმისოდაც მტკიცეს ჭეშმარიტებას: სასტიკი კანონი ორ-პირი მახვილია და სასტიკობით საქმეს ვერა ეშველება-რა. მაგრამ რაში მდგომარეობს ტყის უწყალოდ გაჩეხის მიზეზნი? ჩვენგან დასახელებული ავტორი «Лѣсной вопросъ въ Россіи»-სა ამ მიზეზებს აწინდელს ეკონომიურს მიმართულებაში ეძებს—მრეწველობის აღორძინებაში, ქარხანების და რკინის-გზების გამრავლებაში; სხვა საჭიროების გარდა, ყველა ამას წელიწადში ოთხასი ათასი (400 т.) დესიატინა ტყე უნდებაო; ამას ზედ უნდა დაურთოთ ისიცაო, რომ გლეხობაში გაყრა მეტად გახშირდა, ყველას თავისი საკუთარი კერა ჰსურსო და ცალკე კერას ხომ ყველაფერი თავისი საკუთარი უნდაო... და სხვა ამისთანები («Лѣсной вопросъ въ Россіи», ст. 35—40). თუ მართლა ეკონომიურს წარმატებას თან მოსდევს ტყეების განადგურება, მაშ ეს წარმატება ნამდვილს გზას ასცდენია და სწორედ ასეც არის: საქმეც ისაა, რომ თვით ეს ეკონომიური წარმატება-კი არ არის ერთად-ერთი, მხოლოობითი მიზეზი ტყეების გაჩეხისა, არამედ მას გვერდით უდგა სხვა მიზეზიცა. ეს მიზეზია ცალ-მხრივი მიმდინარეობა ეკონომიურის წარმატებისა. ხალხის ცხოვრებაში თვითეულს ეკონომიურს მომქმედს, ფაქტორს, მრეწველობა იქნება ეს მომქმედი, მიწათ-მოქმედება, თუ სხვა რამე, თავისი გზა-კვალი უნდა ჰქონდეს დანიშნული, ერთი მომქმედი მეორეს უნდა ხელს უწყობდეს. სადაც ასე არ არის, იქ წარმატება ერთს მომქმედს მეტად დიდს სარბიელს უზომავს და სხვებს ცარიელზედ სტოვებს,—ეს ხომ ნამდვილი წარმატება არაა. სწორედ ასეც მოხდა: თუ რუსეთში ამ 20—30 წწ. ტყეების გაკაფვა მეტად გახშირდა და გაძლიერდა, ამის მიზეზი ეკონომიური წარმატება-კი არ იყო, აქ მარტო მრეწველობის აღორძინებას შეალიეს მთელი ძალ-ღონე, მას აკუთვნეს უპირატესობა და ამის გამო ეკონომიური ჩარხიც სხვა ნაირად დაბრუნდა. ამისთანა ამბავი ტყეების გაწყობას უქადის მთელს სახელმწიფოს. საზოგადოდ რომ ითქვას, მეტად დიდს ქება-დიდებას ეუბნებიან განათლებას, აწინდელს ეკონომიურს წარმატებას. მოგეხსენებათ, რომ ჯერ ისევ წარსულ საუკუნეში ქებულს-დიდებულს განათლებას ჟენევის მოქალაქემ ისეთი ცხარე შოლტი გადაწნა, რომ მთელი მოწინავე საზოგადოება პირ-ღია დარჩა. მტრებმაც-კი აღიარეს, რომ უკვდავმა ჟენეველმა „თვისის უკუნურებით საოცარი თვისი გონიერება დაამტკიცაო". არც ეკონომიურს წარმატებას აყრია მეტი ხეირი,—ახალ ეკონომისტთა მთელი

ფოსტის გამცარცველთა საქმე.

შაბათს 10 მაისს სამხედრო სასამართლოში დაიწყეს გარჩევა ფოსტის გამცარცველთა საქმისა. ბრალდებულები არიან: სოფ. გველეთის მცხოვრებელნი ქისტნი ბეი სოლტან გაზოხოვი და მურტუზი ოზიევი, სოფ. ხენახოს მცხოვრები არლუნიდამ ბეისერ კერნოხაი, სოფ. გულიყს მცხოვრები, ვლადიკავკავის მხრიდამ ალდემარ დოლოხოვი და სოფ. მიტახოს მცხოვრები დარგო მირზა ბეკოვ ამრიევი.

ბრალდებულნი უმაღლესის ბრძანებით სამხედრო სამართალში მიეცნენ და მათი საქმე სამხედრო კანონების მიხედულობით უნდა იქმნას გარჩეული. ბრალდებულთ დამცველები არიან ტურკევიჩი და შევალიე.

აი საბრალმდებელო ოქმის შინაარსი მოკლედ: 17 აგვისტოს 1885 წ. დილის 5 საათზე შეატყობინეს სასამართლოს რომ დილომის ახლოს, საცა უწინ სოფ. ნაქულბაქევი ყოფილა ვილაც ავაზაკ ხალხს ფოსტა გაუცარცვამსო, ფოსტალიონი და ერთი ჩაფარი დაუჭრიათო და იამშჩიკი მოუკლავთო.

გასინჯეს ადგილი, საცა ეს ავაზაკობა მოხდა და აღმოჩნდა, რომ ფოსტა მართლა გაცარცული იყო ხსენებულს ადგილას. მოკლული ცხენი ერთს მხარეზე ეგდო, მოკლული იამშჩიკი გულ-აღმა უძრავად იდო ზედ გზა-ტკეცილზე, ფოსტის ეტლის ნაპირა ცხენიც დაჭრილი იყო. ცოტა მოშორებით წვრილად დამტვრეულის ქვის ხროვასთან მძიმედ დაჭრილი ფოსტალიონი ჰგმინავდა თურმე. გზის ერთს მხარეზე ეყარა ცარიელი ფოსტის ჩემოდნები. ამ ადგილიდამ იწყობა თითქმის ცხეთის ვიწროები და სულ 4 ვერსზეა რკინის გზის ხიდი მუხათ-გვერდისა.

ამ გაცარცვის გამო ფოსტის გამგეობის ანგარიშით აღმოჩნდა, რომ ხაზინას ზარალი მიეცა სულ 668 მ. 96 კაპ. ექიმებმა რომ დაჭრილნი და მოკლული იამშჩიკი გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ ფოსტალიონს პავლე ტრასევიჩს ხუთი ჭრილობა მიელო მახვილითა. მათ შორის ორი ჭრილობა მძიმე ჭრილობა ყოფილიყო. ჩაფარს გაბარაშვილს ორი ტყვია მოხვედრია რბილს ადგილას და ხორცში არ დარჩენილა. ექიმს ეს ჭრილობა სუბუქ ჭრილობად უცვნია. იამშჩიკისთვის მახვილი კისერში დაურტყავთ, და სისხლის დენისაგან მომკვდარა.

გაცარცვის გარემოება შემდეგი ყოფილა, როგორც სიკვდილს გადარჩენილთ ჩვენებიდამ აღმოჩნდა: 16 აგვისტოს საღამოს 10 საათზე ფოსტა მოსულა დილმის საჩაფრო სადგურთან. აქ გამოცვლილან ჩაფრები და გაუვლია თუ არა ფოსტას სამიოთხი ვერსი, გზაზე გამოჩენილა რამდენიმე ცხენოსანი და დამხარ-დამხარების უმალვე ამ ცხენოსანთ თოფის სროლა აუტეხიათ. პირველივე ტყვია მოხვედრია ჩაფარ ბეკოშვილის ცხენს, ცხენი წაქცეულა და ცხენოსანიც ძირს დაცემულა და მერე გაქცეულა. გაბორაშვილიც გადმოვარდნილა ცხენიდამ, რამდენჯერმე უსროლია თოფი და მერე დილმის საჩაფრო სადგურისკენ გაქცეულა. ფოსტალიონს ტრასევიჩს დაუნახავს რომ თოფები დაუცლიათ თუ არა ავაზაკებს, ფურგონს მისევიან, დაუჭრიათ ფოსტალიონი და ძირს გადმოუგდიათ. ჩვენებიდამ სხვა არაფერი არა აღმოჩნდა-რა.

მცარცველებს გამოეკიდნენ დასაჭერად და გაემართნენ რკინის გზის ხიდისაკენ. მდევარმა კვალი მიიტანა სოფ. ჭოპორტსა და ახატანთან. აქ ტყეში იპოვნეს ცარიელი კონვერტები და ფოსტის პაკეტები. ყველაფრიდამ სჩანდა, რომ ავაზაკები ქისტები უნდა ყოფილიყვნენ. ერთი მათგანი კერნორაი დაიჭირეს და მეორე კოტიკოვი მოკლულ იქმნა. პირველს ნემენცური წერილი უპოვეს გერმანიაში გასაგზავნი, ასეთის შტემპელით: «ტფილისი—აგვისტო» და ამას გარდა 56 მანათი. 22 აგვისტოს შეიპყრეს კიდევ ორნი, გველეთის მცხოვრებელნი. ესენი ძალიან დაღლილნი თურმე იყვნენ და ექვსის დღის განმავლობაში არა ეჭამნათ-რა. ურიადნიკს ყაზბეგს ჰკითხეს თურმე, დაგვხვრეტენ თუ ჩამოგვახრჩობენო. მაგრამ გარკვევით კი არ გამოტყდნენ, ფოსტა ამათ გაცარცვეს, თუ არა. ზოგი ბრალდებულთაგანი ამბობდა, რომ ჩვენ ცხენების საპარავად ვიყავით იმ ალაგას სრულიად შემთხვევითაო და არ ვიცოდით, თუ ჩვენ ამხანაგებს ფოსტის გაცარცვა ედოთ გულშიო. ზოგი სულ უარ-ჰყოფდა, ჩვენ ფოსტის გაცარცვაში მონაწილეობა არ მიგვიღიაო.

ეს ჩვენება არ დამტკიცდა. ნაპოვნი ცხენები, რომელნიც ჭოპორტთან დაეტოვებინათ ავაზაკებს, გველეთელებმა იცნეს და სთქვეს, რომ ერთი გაზახოვს ეკუთვნისო. რევოლვერი, რომელიც ფოსტალიონს ჰქონოდა, მოკლულ კოტიკოვს გამოაჩნდა.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

განწირულ მდგომარეობაში ჩავარდა საბერძნეთი. აქამდინ თუ ოსმალეთი ჰყვანდა მოწინააღდეგედ, ეხლა უნდა ხუთ სახელმწიფომ აგოს პასუხი. დიდნი სახელმწიფონი სრულიად გადაუდგნენ საბერძნეთს, გარ შემოერტყნენ და ისე შეავიწროვეს, რომ საწყალს სრულიად სული შეუხუთეს.

> როგორცა სჩანსო,—ამბობს გაზეთი „Новости“, დიდნი სახელმწიფონი არც კი ფიქრობენ იმასა, თუ რა მდგომარეობაში აგდებენ საბერძნეთს თავიანთ უსამართლო საქციელითაო. საბერძნეთის ერს ისეთი უბედურება დაატყდა თავსა, რომ დიდი ხანი გაივლის კიდევ, ვიდრე იგი სულს მოიბრუნებსო, და ვინც ბერძნების ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას კარგად დააკვირდება, ის ადვილად შეჰნიშნავს, რომ ყველაზედ უფრო მეტი განსაცდელი და უბედურობა საბერძნეთის ხელმწიფის გვარეულობას მოელისო.

კოროლს სრულიად დაუკარგავს ერის ნდობა. კოროლს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ერის გული მოიგოს ხელ-ახლად, თუ ოსმალეთს ომს გამოუცხადებსო. ბერძნები ყოველთვის ემდურებოდნენ კოროლს, რომ ჯარს შორს უდგებაო და მხოლოდ ინგლისზეა მინდობილიო. ეხლა, როდესაც ინგლისი საბერძნეთს გადაუდგა და ოსმალეთს მიემხროვო, ხალხში უკმაყოფილება იმისო. ამ უკმაყოფილებას ასე თუ ისე უნდა ბოლო მოეღოს, რომ ხალხი დამშვიდდესო.

> და აი ეხლაო,—განაგრძობს იგივე გაზეთი, მინისტრები შეყრილან და სახელმწიფო რჩევაში განუწყვეტელი მსჯელობა აქვთ იმაზედ, თუ როგორ უშველონ საქმესაო. რითი გათავდება საქმე—ჯერ არავინ იცისო, მხოლოდ ამას კი ყველა ჰგრძნობსო, რომ მინისტრებს ორში ერთი-ღა დარჩომიათ: ან ოსმალეთს ომი უნდა გამოუცხადონ, ან და მთელი სამინისტრო სამსახურიდამ გამოვიდესო. პირველ შემთხვევაში საბერძნეთის ერის დიდება და პატივი დაცული იქმნებაო, მეორე შემთხვევაში სამინისტროს არევ-დარევა, მინისტრების განუწყვეტელი გამოცვლა-დადგენა მოხდებაო.

ეს უკანასკნელი გარემოებაო,—ამბობს ბოლოს გაზეთი, ეჭვი არ არის, არეულობას, ამბოხებას გამოიწვევს ხალხშიო; შინაური, ურთიერთ-შორისი ბრძოლა ასტყდებაო, ხალხი თავზე ხელს აიღებსო...

⁂

ბაზაზხანურმა ჩარჩულ ვაჭრობამ პედაგოგიაშიაც გაიდგა ფეხი. რუსეთში განთქმული მოლიტერატურე წიგნის ვაჭარი, ბ-ნი ვოლფი, სხვათა შორის ერთს საყმაწვილო ჟურნალსაცა სცემს, სახელად „Задушевное Слово“-ს. გაზეთ ‹Современное Обозрѣніе›-ს რამდენიმე ადგილი მოჰყავს ამ საყმაწვილო ჟურნალიდამ და სახელდობრ ის ადგილები, სადაც დაბეჭდილებია სხვა-და-სხვა წერილები, რომელიც ვითომ ამ ჟურნალის რედაქციას მოსდის პაწია მკითხველებისაგან. ეს პაწია მცირე წლოვანნი, ხშირად თითქმის ძუძუთა ყმაწვილები, რასაკვირველია, სულ ქება-სხმას და დიდებას უთვლიან პატივცემულს ჟურნალს და არა ნაკლებ მის პატივცემულს რედაქტორსა და გამომცემელს. აი ერთი ამ გვარი წერილი:

> გმადლობთ რომ,—აი ეს მეორე წელიწადია თქვენ ასეთ მშვენიერ ჟურნალს მიგზავნით (5 წლის ყმაწვილი).

ეჭვი არ არისო,—ამბობს გაზეთი, რომ ეს წერილი თვითონ ხუთის წლის ყმაწვილისაგან არის დაწერილიო. თუ დიდს ვისმე დაეწერა ეს წერილი, უთუოთ ნათქვამი იქნებოდაო, რომ დიდს ვისმეს დაუწერიაო. ყმაწვილი მეორე წელიწადია, რაც ჟურნალს კითხულობს, მაშასადამე ოთხის წლისა ყოფილა, რომ ჟურნალის კითხვა დაუწყვია და შეუყვარებია კიდეც ეს „მშვენიერი ჟურნალი“-ო.

ჟურნალის რედაქცია, რასაკვირველია, მოვალედ არა რჩება, უპასუხოდ არა სტოვებს თავის პაწია, ძუძუთა მკითხველებს, გაცხარებულს მიწერ-მოწერას უმართავს, მადლობისთვის გულითადს მადლობას უთვლის და უსუსურის ყმაწვილების თავ-მოყვარეობას ჰხიბლავს და ჰრყვნის. მოგვყავს აქ ორი პასუხი რედაქციისა:

> 1) ჩვენ მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიაც ასეთ გულითადს მადლობას გვიცხადებთ და დიდად მოხარულნი და ბედნიერნი გართ, რომ ჩვენი ჟურნალი დიდს სიამოვნებას გაძლევთ. მოხარულნი გართ აგრეთვე, რომ ამ წელსაც თქვენ მკითხველთ რიცხვში იქნებით, და იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიც დიდად გასიამოვნებსთ ჩვენი ჟურნალი.
>
> 2) თუმცა თქვენის წერილიდამა სჩანს, რომ დიდი ხანი არ არის, რაც თქვენ წერა გისწავლიათ, მაგრამ თქვენმა წერილმა მაინც დიდად გვასიამოვნა. ბევრი წერილი მოსდის ჩვენს რედაქციას პაწია მკითხველებისაგან, ყველანი დიდს მადლობას და სიამოვნებას გვიცხადებენ, მაგრამ იმისთანა გულითადი წერილი, როგორიც თქვენია, ჩვენ იშვიათად მოგვდის.

აქ იმდენად ის არ არის სამწუხაროვო,—საფუძვლიანად ამბობს გაზეთი, რომ ასე ხელ-აღებით ატ-

---

რაზმი ებრძვის ამ ბევრში ყალბს წარმატებას და ამტკიცებს, რა უსამართლობა დაჰბადა ამ წარმატებამ, რა ნაირად გაძარცვა ბუნების სიმდიდრე. მართლა და რა წარმატებაა აწინდელი მრეწველობა, რომელიც ხალხს ხელიდგან აცლის საუკუნოებით მოპოებულს ბუნების სიმდიდრეს? რუსულს მწერლობაშიაც საყვედური ისმის: თუ ეკონომიურს წარმატებას, ხალხის გამრავლებას, მდაბიო ხალხში გაყრის გავრცელებას თან მოსდევს ტყეების განადგურება, მაშ საქმეს მალე უნდა ეშველოს, თორემ ადგილ-მამულის ნაყოფიერება, წყლისა და ნამის სიუხვე და სხ. შემცირდებაო და ხალხი დიდს განსაცდელში ჩავარდებაო. ამ უბედურების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა საზოგადოდ ისეთის მეცნიერულის სწავლის გავრცელება (მაგ., აგრონომია, სამადნო სწავლა), რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიურს წარმატებასთან, კერძოდ აღორძინება სატყეო მეურნეობისა, მეცნიერებისა. მხოლოდ მაშინ დაადგება წარმატება ნამდვილს გზას და ბუნების თვითეული სიმდიდრე დაიზოგება, გონივრულად მოიხმარება. მაგრამ ზოგიერთნი და მათ შორის ჩვენგან დასახელებული ავტორიც (42—44) სხვა ნაირად ჰფიქრობენ: ტყეების გაჩეხა და ახოების გამოღება მიუცილებელი საქმეაო, პატრონს მიწათ-მოქმედება უფრო დიდს სარგებლობას აძლევს, ვიდრე ტყეო და ამისათვის ტყეებს აჩეხინებენო...

იქნება იცოდეთ, რომ ჩვენშიაც ამ მიზეზს ადგილი აქვს—თუ ტყეებს სჩეხვენ უმეტესად იმიტომ, რომ ახოები გააკეთონ, სახნავ-სათესი მიწა გაადიდონ. მრეწველობის წარმატება აქ არაფერ შუაშია—ყველამ ეს კარგად იცის, რასაკვირველია, აქ ადგილი აქვს სხვა მიზეზსაც: ხალხის გამრავლებას, გაყრის გახშირებას. მაგრამ საქმე იმაშია, განა ტყეების გაჩეხა მართლა იმისაგან წარმოსდგება, რომ მიწათ-მოქმედება უფრო ხეირს აძლევს ტყის პატრონს?—პირველის შეხედულობით, მკითხველს იქნება ეგონოს კიდეც, რომ აქ მოქმედობს ყოვლად ბრძანებელი სამეურნო ანგარიში, მაგრამ მხოლოდ პირველის შეხედულობით: უმთავრესი მიზეზი სხვაგან უნდა მოიძებნოს და „სამეურნეო ანგარიში“ მარტო გარეგანი მიზეზია, თუ ასე შეიძლება ითქვას. მოგეხსენებათ, რომ რუსულს მწერლობაში მიწათ-მოქმედების შესახებ ორი მიმართულება, ორი თეორია ებძვის ერთი-ერთმანეთს: თეორია **ეკონომიური** და **აგრონომიული**. პირველი ამტკიცებს, რომ სახნავ-სათესი მიწა ცოტააო, ადგილ-მამული თვითონ მადნის მომქმედს საკმაო უნდა ჰქონდესო. ხოლო მეორე იმ აზრისაა, რომ სახნავ-სათესის მიწის განდიდება და მომატება კი არ არის საჭირო, არამედ მიწათ-მოქმედობითის მეურნეობის წარმატება და განვითარებაო. საქართველოზედ რომ ითქვას, არც ერთი ლოგიკის მტერი წინ არ აღუდგება ეკონომიურს თეორიას და ჩვენი სიმპატიაც მას ეკუთვნის, მაგრამ ტყეების გაჩეხაში სხვა მიზეზებსაც წილი უდევთ: ტყე იმიტომაც იჩეხება, რომ ჩვენში აგრონომიული მეცნიერება არ არსებობს და გონივრულად მოწყობილი მიწათ მოქმედება მეტად იშვიათად იპოვება. კიდეც ამიტომ აწინდელი სახნავ-სათესი მიწა საკმარისი არ არის და ახოების გაკეთება მიჰყვეს ხელი... არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ ერთი და იგივე ახო დიდ ხანს არა სძლებს, მოუვლელობისა და უცოდინარობისა გამო, მას ძალა მალე აკლდება და გუთანი თან-და-თან წინ იწევს ტყეში, თუმცა მისი გაჩეხება ერთს ადგილას, თუ სამუდამოდ არა, დიდ ხანობით მაინც, შესაძლოა, თუ გუთანს გვერდით მოუყენეთ აგრონომიული წარმატება, თუ ეს ასეა, მაშ ტყის გაჩეხაში ყოვლად ბრძანებელს სამეურნო ანგარიშს ისეთი ადგილი არა აქვს, როგორც ჰგონიათ: გონივრულად შეგნებული სამეურნო ანგარიში ტყის დაღუპვას კი არ უნდა ჰლამობდეს, არამედ მიწათ-მოქმედების განკარგებას და თუ ეხლა როგორც რუსეთში, ისრე ჩვენში ტყის გაჩეხა ვითომდა მიუცილებელი შედეგია სამეურნეო ანგარიშისა (ჩვენში ხიზნების, უმეტესად ოსების დასახლება) ეს იმიტომ, რომ თვით სამეურნო ანგარიში მაცდურს გზა-კვალს ადგია, თუ არა და—რომელი გონივრული ანგარიში ბძანებს, რომ ერთგვარი სიმდიდრე შეიძინო და მეორე ხელიდამ გაუშვა, როცა ორივე ხელთ გიპყრია, თუ კი მოხმარების შნო გაქვს?!

აწინდელის სატყეო წეს-დებულების ძალით (т. VIII ст. 4, 2 п. 106) ეგრედ წოდებული სადავო ტყეები სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში არიან. სატყეო წეს-დებულება (ст. 681—689) დაწვრილებით განმარტებს, როგორ უნდა მოუარონ სადავო ტყეს, არა თუ სატყეო გამგეობას, მოდავე კერძო პირსაც ნება აქვს ყარაული დაუყენოს ტყეს, მინამ დავა გათავდება. სადავო ტყის მცველობა სხვა ნაირია, უფრო სუსტი, ვიდრე უდაოსი (ст. 56—90). ხაზინა მცველებად აყენებს ადგილობრივ სახელმწიფო გლეხთა, კერძო პირი კი—ვინცა ჰსურს. რასაკვირველია, თვით სადავო საქმის ვითარება ჰთხოულობს, რომ მცველობა სხვა ნაირი იყოს, მაგრამ ამას ჩვენში მაინც ზარალი მოაქვს—ჯერ ერთი ესა, რომ სადავო ტყე უწყალოდ იკაფება, მეორედ—დიდი აყალ-მაყალი და შეტაკება მოხდება ხოლმე სატყეო მცველთა და მოდავე პირთა შორის. სახელმწიფო გლეხთა, რომელნიც ტყის მცველებად არიან დანიშნულნი, ჰგონიათ, რომ სადავო ტყეც ხაზინის საკუთრებაო და რაც ხაზინისაა, ის ხომ თავის დროზედ ჩვენ დაგვრჩებაო... ეს უსაფუძვლო შეხედულება საქმეს უშლის, მოდავე პირთა შორის შუღლს და ჯავრსა ჰბადავს, ხშირად კაცის კვლა ამ მიზეზის გამო ხდება ხოლმე. საჭიროა, რომ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მით უფრო, რომ დავა ჩვენში დიდს ხანს არა თავდება და სადავო ტყე დაუზოგველად იჩეხება.

ნ. ურბნელი

ყუებს და ჭრყვნის რედაქცია თავის ჟურნალის უსუსურ და უგუნურ მკითხველებსაო, რამდენადაც ისაო, რომ არიან იმისთანა მშობლები, რომელნიც თავიანთ შვილების ჩჩვილსა და ნორჩ გონებას ამ ნაირის საწამლავითა ჰკვებავენო.

დეპეშა

ცხინვალი, 13 მაისს. დღეს ცხინვალში გაიმართა ტელეგრაფი. ხალხი დიდს აღტაცებაშია.

12 მაისს

ათინა. გუშინ და გუშინ წინ კვლავ შეეჯახა ჯარი ოსმალებს საზღვარზე; თოფის სროლა ხან შესწყდებოდა, ხან კვლავ დაიწყობოდა. ამბობენ, რომ მიზეზი ამისა ისევ ოსმალნი იყვნენო.

სტამბოლი. ახლად ჯარების შეჯახების გამო საბერძნეთის საზღვარზე, პორტამ დაგზავნა ცირკულიარი და უარ-ჰყოფს, ვითომ ოსმალნი ყოფილიყვნენ მიზეზნი შეჯახებისა; ამასთანავე ამბობს, რომ მზადა გარ უკან დავაბრუნო ჯარები და თოფ-იარაღი აგყარო სწორედ იმ დღეზე, რა დღესაც საბერძნეთი დაიწყობს თოფ-იარაღის აყრასაო; საზოგადოდ, პორტას ჰსურს, რომ შუღლი და უთანხმოება მოისპოს, რაც შეიძლება ჩქარაო.

სოფია. რადგანაც ბურგასში აღმოჩნდა შეთქმულობა ალექსანდრე მთავრის წინააღმდეგ, მრავალნი იქმნენ დატუსაღებულნი; მეტადრე ბევრნი ჩერნოგორელნი არიან დატუსაღებულნიო. გუშინ აღმოსავლეთ რუმელიაში დაიწყო არჩევანები ბოლგარიის საერო კრების დეპუტატებისა.

ბერლინი. გარდაიცვალა გამოჩენილი ისტორიკოსი ლეოპოლდ რანკე.

ათინა. გენერალი საპუნცაკი და ეიუბ-ფაშა ხვალ ერთმანეთ ინახულებენ, რათა ღონისძიება იპოვონ და შეჯახება ჯართა აღარ მოხდეს.

გამოცხადდა განკარგულება დაუყონებლივ დათხოვნილ იქმნან ორის რიგის ჯარის კაცნა, ხოლო დანარჩენის სამის რიგისანი ერთის კვირის უკან უნდა იქმნან დათხოვნილნიო.

სოფია. არჩევანი აღმოსავლეთ რუმელიაში ჯერ-ჯერობით სასარგებლოა მთავრობისათვის; ზოგან ჩხუბი მოხდა არჩევანების გამო, ხოლო თემაზაგრეში კაცის კვლაც-კი მოხდაო.

13 მაისს

პეტერბურგი. გენერალ-ადმირალს დიდს მთავარს ალექსის ალექსანდრეს-ძეს ებოძა ნიშანი წმინდა ვლადიმირისა პირველის ხარისხისა და მასთან უმაღლესი რესკრიპტიცა, რომელშიაც გამოცხადებულია ნამსახურობა მისის უმაღლესობისა რომ ფლოტი განაახლა და მამულის მრეწველობას ხელი შეუწყო, განამდიერა ზღვის საქმის ცოდნა მოსამსახურეთა შორის, განკარგა მათი ყოფა-ცხოვრება სახელმწიფო ხარჯის აღუმატებლად. «სასარგებლო მოღვაწეობა თქვენი, ამბობს შემდეგ ამისა რესკრიპტი, გამოითქვა მით, რომ სწრაფად აგებულ-იქმნენ ხომალდნი და გემები ბალტიის ვერფებზედა. აგება პირმშოთა მცველთა შავის ზღვისათა და აღშენება მათის საჭიროებისათვის დოკებისა, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავისის სიდიდითა და ნაშენობითა, ჭეშმარიტი ცოდნა ფლოტის საჭიროებისა—ყოველნი ესენი ერთად არიან ნაყოფნი თქვენის სანგრძლივის და შორ-ქვეყნებში მოგზაურობისა. ყოველი ეს იმედს მაძლევს მე, რომ შემდეგშიაც მოღვაწეობა თქვენი წარმატებულ იქმნება». ბოლოს გამოთქმულია, რომ დევიზი წმინდა ვლადიმირის ნიშნისა შეექმნება დიდს მთავარს შემდეგშიაც გულის მომრაობის წყაროდ ტახტისა და მამულის სამსახურისათვის.

„Новое Время" იუწყება, რომ რაკი წესები „ჩინშევნიკების" საკომლოების გამოსყიდვისა მოქმედებაში შევლენო, ცხრა დასავლეთის გუბერნიებში დაწესებულ-იქმნებიან ცალკე დროებითნი გამგეობანი, თხოვნათა, საჩივართა გასარჩევადაო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ პროექტი სამხედრო ბეგარისა, რომლითაც უნდა მოწოდებულ-ყოფილიყვნენ ყველა თემნი კავკასიისანი სამხედრო სამსახურისათვის, უარ-ჰყვესო და ეხლა აზრია შემდგარი სამხედრო სამსახურისათვის მოწვეულ-იქმნან მარტო ქრისტიანები. მაჰმადიანთა-კი, ჯარის კაცად გამოსვლის ბეგარის მაგიერ ფულის მასტა უნდა იხადონო.

მოსკოვი. დანიშნულია, რომ ხვალ კრემლის სასახლეში უნდა შეიკრიბნენ მაღალ-წოდების გვამნი.

ვარონეჟი. გუშინ ქალაქმა იდღესასწაულა სამასის წლის იუბილეი. ეკკლესიებსა და ქუჩებში პარაკლისი გადიხადეს, საღამოზედ ქალაქში ჩირაღდანი იყო გამართული.

«ივერიის» ფოსტა.

ს. ქ—ჯ—ას. ნ. ლ—ეს. თქვენი „წიგნი მიწერილი მეგობრისაგან მეგობართან" არ დაიბეჭდება. თუ გნებავთ, შეგიძლიანთ უკანვე წაიღოთ.

ს. ბ—ას. ს. ყ—ნს. თქვენი წერილი გვიან მივიღეთ და ამიტომ ვერ დავბეჭდეთ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია, დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ თთვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის

14 დღე ოთხშაბათი წმ. მოწამე ისიდორე და მაქსიმესი. შობა მ. უმაღ. მარია პავლოვნასი. კათოლ. წმ. იოანესი, ბონიფაციისა. ბოლო ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—46 ტფილისში მზე ამოდის 4—31. ჩადის 7—23. მთვარე ამოდის 12—53 ნღ. ჩადის 11—41.

15 დღე ხუთშაბათი ღირსისა პახომისა დიდისა, დაგვირგვინდება ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცისა. კათ. სოფიოსი, პლატონისა და ცეცილიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56—53. ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის 7 24. მთვარე ამოდის 1—23 ნღ. ჩადის 0—46.

16 დღე პარასკევი. ღირსისა თეოდორესი. კათ. იოანესი და რიგინასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—0. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 1—51 ნღ. ჩადის 1—39.

17 დღე შაბათი წმინდა მოციქულის ანდრონიკესი, სტეფანესი. კათ. პასხალისა და ვერონიკისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—8. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—26. მთვარე ამოდის 2—14 ნღ. ჩადის 2—41.

18 დღე კვირა. წმ. მოწამე თეოდოტე ანკვირელისა, წმ. ალექსანდრესი და 7 ქალწულთა, წმ. დავითისა და ძმისა მისისა ტარიჩანასი. კათ. ერიკასი.

გენ. ლეიტ. კნორინგმა ტფილისში შეჰკრიბა პირველნი წოდებათა კაცნი ქართველთ ერისანი და სოფლელნი მამასახლისნი და ნებისამებრ იმპერატორის ალექსანდრე 1-სა გამოუცხადა: თავიანთ ნებით და ერთ-ხმად მიიღეს თუ არა სამუდამოდ ქვეშერდომობა რუსეთისა? 1801 წელს.

ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—16. ტფილისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 2—54 ნღ. ჩადის 3—41.

19 დღე ორშაბათი. მოწ. პატრიკისა. კათ. პეტრე ცელისტინისა.

დარეჯან დედოფალის რჩევითა და გავლენით ქართლი გაყოფილ იქმნა ბატონიშვილთა შორის 1793 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—24. ტფილისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—28. მთვარე ამოდის 3—28 ნღ. ჩადის 4—44.

მაზანდა.

გამოსადეგი ცნობანი.

1 მაისიდამ 1-ლ ივნისამდე.

ადგილობრ. პური 1-ლის ხარისხისა.	5 კ.
» » 2 »	2½ »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა . . .	4½
მე-2 ხარისხისა . . .	3½
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
2 — . .	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი . . .	9 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს	8 ს. & 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის— —	10 ს. & 25 წ. დ.
ბაქოში მიდის— — —	10 ს. & 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — —	8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის	3 ს. & 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის	8 ს. & 24 დ წ..

განცხადებანი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა წლიური კრება არის დანიშნული 25 მაისს, დილის 12 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ა) მოსასმენად საზოგადოების ანგარიშისა $188^5/_6$ წლისა, ბ) მისაღებად ახლად შემომავალ წევრთა და გ) დასამტკიცებლად სავარაუდო ხარჯისა $188^6/_7$ საანგარიშო წლისა.

(5—2)

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით, 14 ივნისს ამა 1886 წლისა ქ. თბილისს, თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-სა შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყობა ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისა-მებრ მანათი მანათად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნეს ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიანთ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 23 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 28 ივნისს 1886 წლისა.

$18^7|_{12}$ წლიანნი სესხნი

ქ. ტფილისში.

ადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: I განყოფილებაში, IV ნაწილში, განოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ოთხ-სართულიანი, ხოლო მეორე ორ-სართულიანი და მიწა, 236 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 35,042 მან. და 46 კაპ., შესავ გადასახადი 3,746 მან 74 კაპ.—სულ 38,789 მან. 20 კაპ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: I განყოფილებაში, IV ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ სართულიანი სახლი და მიწა, 236 კვ. საჟ.; თავნი ვალი 15,742 მან. 51 კაპ., შესავ. გადასახ. 1066 მან. 58 კაპ.—სულ 16,809 მან. 09 კაპ.

მირზოევისა, ბარბალე მიხაილის ასულის: I განყოფილებაში III ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, დუქნები და მიწა, 138 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 47,198 მან. 35 კაპ., შესავს. გარდასახ. 4954 მან. 39 კაპ.—სულ 52,152 მან. 74 კაპ.

ყაზაროვისა, ავეტიკ კარაპეტის ძის: I განყოფილებაში, V ნაწილში, საზოგადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა, 103 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 8280 მან. 48 კაპ., შესავ. გადას. 536 მან. 58 კაპ.—სულ 8817 მან. 06 კაპ.

შირიაევისა, ივანე მიხაილის ძის II განყოფილებაში, VIII ნაწილში, ჩუღურეთში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა, 149 კვადრ. საჟ, თავნი ვალი 11,592 მან. 65 კაპ., შესავს. გარდას. 1375 მან. 10 კაპ.—სულ 12,967 მან. 75 კაპ.

კოზლოვისა, იოსებ ვლასას ძის: II განყოფილებაში, პანასევიჩის და ნიკოლოზის ქუჩაზე ორი ქვითკირის ორ-სართულიანი სახლები და მიწა, 360 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 14,409 მან. 40 კაპ., შესავს. გადას. 1352 მან. 40 კაპ.—სულ 15,761 მან. 80 კაპ.

ბიჩიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: I განყოფილებაში, I ნაწილში, დავითის ერდოზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 83 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 3466 მან. და 47 კ., შეს. გარ. 344 მ. და 94 კ.—სულ 3811 მ. და 41 კ.

ოძელოვისა, ნინო ივანეს ასულის: I განყოფილებაში, I ნაწილში, ოლგას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 9532 მ. და 76 კ., შეს. გარ. 871 მ. და 54 კ.—სულ 10404 მან. 30 კაპ.

თბილისის გუბერნიისა და მისივე მაზრისა.

$43^1/_2$ წლიანნი სესხნი

მაღალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვანის აგარში სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1935 მან. და 99 კაპ., შესავსებ. გადასახ. 155 მან. და 22 კაპ.—სულ 2091 მან. და 21 კაპ.

მაღალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვანის აგარში სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 2913 მან. და 98 კაპ., შესავსებ. გადასახ. 223 მან. და 27 კაპ.—სულ 3137 მან. და 25 კაპ.

გორის მაზრისა.

ერისთავისა, გრიგოლ პავლეს ძის: ნიგოზის აგარში სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო, 452 დეს. 60 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 7743 მან. და 76 კაპ., შეს. გარ. 67 კაპ.—სულ 7862 მან. და 43 კაპ.,

(3—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 13 Мая, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.